სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პირველკურსელთა კვლევა 2023-2024 სასწავლო წელი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სტრუქტურული საგანმანათლებლო ერთეულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელების მიერ ჩატარდა პირველკურსელთა კვლევა ინსტიტუციური, რესურსებით, სტუდენტთა მხარდამჭერი მექანიზმებისა და სხვა ხელშემწყობი ღონისძიებების ინფორმირებულობისა და კმაყოფილების შესახებ, პირველი შთაბეჭდილება და მოლოდინები.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველწლიურად ემზადება პირველკურსელებთან შესახვედრად. კერძოდ, ხდება პირველი სასწავლო კვირისთვის დღის წესრიგის შემუშავება, რომელშიც პირველი ხუთი დღის განმალობაში გათვალისწინებულია სხვადასხვა აქტივობა: საინფორმაციო, შემეცნებითი, საკონსულტაციო (მხარდამჭერი ღონისძიებების), გასართობი და სხვ. უნივერსიტეტის თითოეული რგოლის ფუნქცია-მოვალეობის გაცნობა სტუდენტებისათვის, რათა სტუდენტი სწრაფად ადაპტირდეს ახალ გარემოში და სწავლა-განათლებაზე იყოს ორიენტირებული.

კვლევის ინსტრუმენტად გამოვიყენეთ კითხვარი, რომელიც შედგებოდა ქვემოთ მოცემული კითხვებისგან, მოიცავდა როგორც რაოდენობრივ, ისე თვისობრივ ინფორმაციას. გამოკითხვა ატარებდა ანონიმურ ხასიათს და იყო ნებაყოფლობითი.

უნივერსიტეტში მოქმედებს ოთხი ფაკულტეტი, რომელთა საბაკალავრო პროგრამებზე პირველ კურსზე ჩაირიცხა 370-მდე სტუდენტი. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ბაკალავრიატის ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა, სულ 116 სტუდენტმა.

შენიშვნა: რესპოდენტს შეეძლო ერთდროულად რამდენიმე მისთვის მისაღები პასუხი მონიშვნა. ამიტომ შედეგების პროცენტული მაჩვენებელი ჯამურად შესაძლებელია, ხშირ შემთხვევაში, 100%-ზე მეტი აღმოჩნდეს.

პირველკურსელთა კმაყოფილების კვლევაში მონაწილეობა მიიღო 106 რესპოდენტმა, ხოლო მონაწილეთა საერთო რაოდენობა ფაკულტეტების შესაბამისად პროცენტულად ასე გადანაწილდა:

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 24,1 %;
ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი - 22,4 %;
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი 12,9%;
იურიდიული ფაკულტეტი - 40,5%.

1. **რომელი საშუალებებით მოიპოვეთ ინფორმაცია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ?**

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდის საშუალებით, პასუხობს გამოკითხულთა 45,7%;
- ინტერნეტის საშუალებით, პასუხობს გამოკითხულთა 9,5%;
- ახლობლების საშუალებით, პასუხობს გამოკითხულთა 40,5%;.
- სხვ. პასუხობს გამოკითხულთა 6%

---

2. რატომ აირჩიეთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი?
(მონიშნეთ თქვენთვის სასურველი რამდენიმე პასუხი ან დააფიქსირეთ თქვენი სხვა მოსაზრება)

- ხელმისწავდომია ტერიტორიულად პასუხობს გამოკითხულთა 61,2%;
- გამოირჩევა სწავლების მაღალი ხარისხით პასუხობს გამოკითხულთა 14,7%;
- აქვს სპეციალობების ფართო არჩევანი პასუხობს გამოკითხულთა 8,5%;
- აქვს კეთილმოწყობილი სასწავლო გარემო, პასუხობს გამოკითხულთა 8,5%;
- პრესტიჟულია, პასუხობს გამოკითხულთა 7,8%;
- აქვს დასაქმების მაღალი მაჩვენებელი, პერსპექტიულია...

3. როგორ აფასებთ უნივერსიტეტში შექმნილ ატმოსფეროს (პირველი შთაბეჭდილება)**?**
რა მოგეწონათ? შეცვლიდით?
ყველაფერი მომწონს
კარგად
დადებითად
დადებითად
კარგია
ყველაფერი მორგებულია სასწავლო პროგრამისთვის
არ მომწომს ბევრი რამ შევცვლიდი ბევრ რამეს
პირველი შთაბეჭდილება ნორმალურია
მხოლოდ ის არ მომწონს, რომ სასადილო სულ დაკეტილია😂
ძალიან მომწონს უნივერსიტეტის ატმოსფერა, რადგან როგორც ლექტორები, აგრეთვე სტუდენტები მეგობრული არიან, და ყოველთვის ცდებიან დაეხმარონ სხვებს. ცდილობენ თავი მოგვაწონონ, სასიამოვნოა.
შევცვლიდი, ლექციების რაოდენობას შევამცირებდი
ყველაფერი ძალიან მომწონს, მაგრამ კარგი იქნებოდა სასადილო რომ გვქონოდა, ათ წუთში გარეთ გასვლას და ჭამას ვერ ვასწრებ და ლექციაზე მაგვიანდება
ძალიან მეგობრული ატმოსფეროა, მომწონს რომ ყველა ლექტორი თავისი საქმის პროფესიონალურია, სასადილოს გავხსნიდი😂
ძალიან კარგია,არაფერს შევცვლიდი
ატმოსფერო არის კარგი, შეცვლით არაფერს შევცვლიდი
მომწონს რომ აქ ვინც აქ სწავლობს მერე შეუძლია რომ აქ იმუშაოს

 მომწონს ატმოსფერო, ადამიანები.
ძალიან კარგი ატმოსფერაა
ძალიან კარგი
გავალამაზებდი ეზოს რაც შეეხება უნივერსიტეტს იდეალურია.
კარგი გარემო, მეგობრული ადამიანები შეცვლით არაფერს არ შევცვლიდი
მომწონს გარემო,დამოკიდებულება სტუდენტების მიმართ ლექტორებისგან და ა.შ
ჩემი პირველი შთაბეჭდილება ძალიან კარგია და ამ ეტაპისთვის არაფერს არშევცვლიდი
მეგობრული გარემოა. სითბო იგრძნობა, როგორც სტუდენტების, ისე ლექტორების მხრიდან.
მომწონს ლექტორებისა და სტუდენტების შორის მეგობრობა, მომწონს ის რომ უკეთ და
ცხადად გვისწავლიან ყველაფერს რაც შეეხება ფაკულტეტს,რაც შეეხება შეცვლას,
უნივერსიტეტი ქალაქიდან მოშირებითაა, ამიტომ დავამატებდიტრანპორტს რომელიც
მხოლოდ სტუდენტებს მოემსახურებოდა.
ყველაფერი ისეა მოწყობილი, როგორც სჭირდებათ სტუდენტებს
ყველაფერი იდეალურად არის
დამაკმაყოფილებელია ყველაფერი ეცვლი არაფერს ევცვლიდი
აღტაცებული ვარ
ურთიერთ დამოკიდებულება მომეწონდა და არაფერს არ შევცვლიდი
ვფიქრობ პიროვნული განვითარებისთვის ზუსტად ის გარემოა შექმნილი რაც უნდა იყოს
დავფიქრობ როგორი დადებითი ემოციებითაც ვარ განწყობილიი ასე იქნება მთელი
სასწავლოწლები
ყველაფერი კარგია
ვაფასებ ატმოსფეროს ტემპერამენტს მიმაღლებს მეტად
ყველაფერი კარგია შევცვლიდი რამდენიმე ლექტორს
კარიგი შთაბეჭდილება გამაჩნია, ყველაფრით კმაყოფილი ვარ,უბრალოდ ბიბლიოთეკაში
ყველა წიგნი რომ ყოფილიყო უკეტესი იქნებოდა.
საუკეთესო გარემო. საუკეთესო სასწავლო ნაწილი.
ძალიან მომეწონა მგონი არაფერს არ შევცლიდი
ატმოსფეროც ლექტორებიც და სტუდენტებიც ძალიან კარგები არიან
ყველაფერი იდელაურია
კარგი მეგობრული გარემოა და ყველაფერში ხელს გვიწყობენ
მომწონს ძალიან
ძალიან მომეწონა.არაფერს არ შევცვლიდი
ატმოსფერო კარგი არის . არ მომწონს ის რომ უნივერსიტეტი კარგად არ არის
გარემონტებული , არ გვაქვს სასადილო ოთახი. უნივერსიტეტს აქვს მანქანების და
პარკირების ადგილი მაგრამ ჩვენი მანქანები გარეთ რჩება .
არის კარგი გარემო.სწავლის მხრიდანაც საკმაოდ კარგია
ძალიან მომეწონა ლექტორების კომუნიკაცია სტუდენტებთან
მომწონს
შესანიშნავი

არაფერს შევცვლიდი
ყველაფერი კარგია კარგია თუმცა შევცვლიდი კვების ობიექტს
ყველაფერი კარგია თუმცა შევცვლიდი სასადილოს
გარემო კარგია, კარგი შთაბეჭდილება დამრჩა, მხოლოდ სტუდენტებს სჭირდებათ პარკინგი
ძალიან თბილი გარემოა ჩვენს უნივერსიტეტში, მეგობრული და მაღალკვალიფიცირებული
მომწონს ის რომ არის ძალიან მეგობრული გარემო
პირველი შტაბეჭდილებიდან ძალიან მომეწონა
ყველაფერი იდიალურია.
პირველი დღიდან დღემდე მინდა ყოველდღე ვიარო უნივერსიტეტში, რადგან ძალიან
მცოდნე პროფესორები გვყავს და ძალიან მომწონს მათი ლექციები.
ძალიან მიმწონს
კარგი გარემოა
მომწონს ლექტორების მიერ სტუდენთების ხელშეწყობა
თითქმის ყველაფერი მომწონს, შევცვლიდი ლექციების მიმდევრობას.
გარემო არის ჩემთვის იდეალური ,თითქმის ყველაფერი მოსახერხებელიასტუდენტებისთვის
,არაფერს არ შევცვლიდი
ძალიან კარგი გარემოა
ძალიან კარგი სოციუმის გარემოა
ძალიან შთამბეჭდავი იყო პირველი შეხვედრა ლექტორებთან ,
კურსელებთან.ატმოსფეროჩემთვის იყო კეთილგანწყობილი.შევცვლიდი სანუვერსიტეტო
პირობები, მაგ. გათბობა აღარარის.
ჩემი პირველი შთაბეჭდილება კარგი იყო, ყველაფერი მომწონს, კარგი ლექტორები
გვყავთ.მეარაფერს არ შეცვლიდი.
ყველაფერი მომეწონა
პირადად ჩემთვის, უკეთესი იქნებოდა მეტი კეთილგანწყობა სტუდენტების მიმართ.
განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი ინფორმაციას სრულიად ვერ იგებენ
დასჭირდებათ დამატებითი პასუხები.
სასიამოვნო ატმოსფერო,გაცვლითი პროგრამების არსებობა და შანსი სრულყოფილად
გამოვიყენოდ უნივერსიტეტის შემოთავაზებები,ჩავერთოთ აქტივობებში
დაინტერესებისშემთხვევაში.პირველი შთაბეჭდილებით მივხვდი,რომ უამრავი პერსპექტივა
არსებობსიმისათვის,რომ სტუდენტი განვითარდეს მაღალ დონეზე და მიღებული
განათლებაგამოიყენოს სურვილისამებრ.
ნორმალური სიტუაციაა
სტუმართმოყვარე გარემოა სტუდენტების დამოკიდებულება მომეონსარაფერს ჯერჯერობით
ძალიან მომწონს
შეცვლით არაფერს შევცვლიდი მოწონებით ის მომწონს რო ძალიან კარგი
გარემოაშთაბეჭდილება მისი ტერიტორიული სილამაზეა
დადებითი

კარგად ვაფასებ,რადგან სწორედ ისეთი გარემოა,როგორიც სჭირდება სტუდენტსგანათლების მიღებისთვის,სასურვლი ფაკულტეტის განხრით.
სტუდენტისა და ლექტორის ურთიერთობები მომწონს ძალიან, რადგან ლექტორები არიან კეთილგანწყობილები სტუდენტების მიმართ. რაც არ მომწონს ისაროს რომ თვითონ უნივერსიტეტის კორპუსი არის ძალიან ,,უსიცოცხლო" ჩემი აზრით კორპუსში სიმწვანეასაჭირო, სასურველია ლამაზი მცენარეები, ხეები და ყვავილები.
უნივერსიტეტში შექმნილი ატმოსფერო ძალიან მომწონს. მომწონს ის რომ ლექტორები დაუნივერსიტეტი სტუდენტების გვერდით არიან სულ. სტუდენტებს აქვთ უამრავი საშუალებამიაღწიონ წარმატებას უნივერსიტეტის დახმარებისა და განათლების წყალობით.
ყველაფერი არის გადასარევი
ძალიან მომეწონა უნივერსიტეტის ატმოსფერო. თუმცა, უნივერსიტეტის სტრუქტურის შემოგარენი შეიძლება გამწვანებული იყოს, რათა ვიზუალურად უფრო ლამაზი იყოს, სუფთა ჰაერის და სხვა მიზეზების გამო.
ძალიან კარგი ურთიერთობაა ლექტორ მასწავლებლებთან და თანასწორობა .
ყველაფერი ჯერ ჯერობით კარგია
დადებითად, რადგან 1 თვეც არაა რაც ვართ სტუდენტი ჯერ ვერ ვიაზროვნებ თუ რას შევცვლიდი…
პირველი შთაბეჭდილება კარგი იყო უბრალოდ დასასვენებელ ადგილს უფრო კარგად გავაკეთებდი. საკმაოდ კარგია ყველაფერი
უნივერსიტეტი ატმოსფეროში არაფერს არ შევცვლიდი ძალიან მომწონს
კარგია ყველაფერი
ყველაფერი მისაღებია შეცვლით არაფერს შევცვლიდი
ცივი ატმოსფერო იყო
მომეწონა ჩემი ფაკულტეტის დეკანი და მისი დამოკიდებულება ბავშვების მიმართ, ასევეატმოსფეროც.

4. ფაკულტეტის დეკანმა და/ან პროგრამის ხელმძღვანელმა გაგაცნეს თქვენს მიერ არჩეული სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამა, მისი მიზანი და სწავლის შედეგები?

- დიახ უპასუხა რესპოდენტთა 94,8%;
- ნაწილობრივ უპასუხა რესპოდენტთა 5,2%;
- არა

5. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტმა გაგაცნოთ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები: აკადემიური კალენდარი, სასწავლო კურსი, სილაბუსი, კრედიტი, შეფასების სისტემა, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და ფორმები?

- დიახ, უპასუხა რესპოდენტთა 91,4%;
- ნაწილობრივ უპასუხა რესპოდენტთა 7,8%;

- არა ;

6. უნივერსიტეტში გაგაცნეს თუ არა სტუდენტთა ეთიკის კოდექსი?

- დიახ, უპასუხა რესპოდენტთა 87,9%;
- ნაწილობრივ უპასუხა რესპოდენტთა 9,5%;
- არა, უპასუხა რესპოდენტთა 2,6%;

7. გაეცანით თუ არა უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ გეგმას?

- დიახ, უპასუხა რესპოდენტთა 80,2%;
- ნაწილობრივ უპასუხა რესპოდენტთა 16,4%;
- არა, უპასუხა რესპოდენტთა 5,4%;

8. გაეცანით თუ არა იმ პროგრამებს, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტთა საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობას:

- დიახ - 81%
- ნაწილობრივ - 12,1%;
- არა - 6,9%;

9. დაასახელეთ წყარო, რომლის საშუალებითაც მიიღეთ ინფორმაცია საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის კუთხით გადადგმული ან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ა) ადმინისტრაციული პერსონალი, უპასუხა 21,6%,

ბ) უმაღლესი სასწავლებლის ოფიციალური ვებ- გვერდი 39,7%,

გ) სტუდენტები 21,6%,

დ) აკადემიური პერსონალი 8,5%,

ე) ფაკულტეტის დეკანატი 221,6%.

10.დაასახელეთ ქვეყანა, რომელიც, თქვენი აზრით, ყველაზე უფრო მეტად შეუწყობს ხელს საერთაშორისო ურთიერთობისა და ინტერნაციონალიზაციის კუთხით აქტიურ თანამშრომლობას 2020 – 2021 სასწავლო წლის განმავლობაში?

- პოლონეთი 6%;
- თურქეთი 3%';
- დიდი ბრიტანეთი 3%
- ინდოეთი 1%
- კანადა 8,5%
- გერმანია 32,8%
- ჩეხეთის რესპუბლიკა 42,2%;
- სხვ. მოხაზა 10.3%

11.პირველი კვირის შთაბეჭდილება და თქვენი მოლოდინი:

აღნიშნულ კითხვაზე მრვალგვარი დადებითი ემოციის გამომხატველი პასუხი დაფიქსირდა, თითოეული მათგანი ყურადსაღები და მისასალმებელია . სტუდენტების პირველი კვირის შთაბეჭდილებასთან გამოთქმული კომენტარები გადმოტანილია ციტირების სახით. კერძოდ,

ვფიქრობ წინ ბევრი კარგი რამ მელის, მომეწონა
ნორმალური
პირველ კვირას ძალიან ბევრი ახალი მეგობარი შევიძინე, გავიცანი თბილი, კეთილი და უსაყვარლესი ლექტორები, რაც ძალიან მახარებს❤
პირველ კვირას ვნერვიულობდი, მაგრამ დროის განმავლობაში დაამშვიდი, და მომეწონა
უნივერსიტეტი
ჩემი მოლოდინი ემთხვევა პირველად შთაბეჭდილებას
სასიამოვნო გარემო დაგვხვდა. გმადლობთ!
ყველაფერი ძალიან კარგი იყო, ყველა ლექტორი ძალიან მომწონს და უკვე მიყვარს
ესუნივერისტეტი
ყველაფერი უფრო კარგადაა ვიდრე მე წარმოვიდგენდი
ყველაფერი კარგია
კარგი შთაბეჭდილება და იმედია ვისწავლი ბევრ ახალ რამეს.
ძალიან კარგი იყო პრველი კვირის შთაბეჯდილება რადგან გავეცანი ჩემს თანაკურსელებს,ლექტორებს და უნივერსიტეტს
შთაბეჭდილებებზე ლაპარაკი საერთოდ არ მიყვარს, მაგრამ მოკლედ რომ ვთქვა დადებითი არის. რაც შეეხება მოლოდინს, მოკლედ რომ ვთქვა მინდა სწორი გზით სიარული, სადაც დამეხმარება სჯსუ.
პირველი კვირა ჩემთვის იყო გაცნობის კვირა, მაქვს კარგი შთაბეჯდილება უნივერსიტეტზე ძალიან კარგად
მომეცა უფრო მეტი მოტივაცია.1
პირველი კვირის ემოციებმა ჩემი მოლოდინები დააკმაყოფილა.
ჩატარებულმა ლექციებმა მომცა მეტი მოტივაცია ჩემი მოლოდინი არის დასახული მიზნისმიღწევა.
რასაც ველოდი ნამდვილად გამართლდა,კმაყოფილი ვარ
ასაწყისისთვის ძალიან კარგია და, ჩემი აზრით, არ შევმცდარვარ რომ ამუნივერსიტეტში ჩავირიცხე
კარგი შთაბეჭდილება დამრჩა და დიდი მოლოდინებით ვარ აღვსილი
პირველი შთაბეჭდილებით ცოტა ვნერვიულობდი, მერე უკვე როცა გავრცანი კურსელებსადა ლექტორებს, დიდი სიამოვნებით ვივლიდი
პირველი კვირის შთაბეჭდილება იყო დადებითი
ამაღფრთოვანებელი
ყველაფერი ძალიან მომეწონა
მოლოდინები ნამდვილად გამართლდა

Shesanishnavi
Kargi
Dzalian kargi gareboo daa dzalian tbili bavshvebi shemxvda rasac ar velodebodi,chemimolodianiaa roo mee chemi profesiit aucileblad davsaqmdebi
□□აბე□დილებები გამარ□ლდა მოლოდინი რა□ქმაუნდა რის განვი□არება დაწინსვლა
ძალიან კარგი დამოკიდებულება მაქვს პირველი კვირის შემდეგ და ვიმედოვნებ რომ ასე აგრძელდება. გასაოცარია შესანიშნავი შთაბეჭდილება მშვენიერი მაგრამ უფრო მეტიც შეიძლება
მქონდა კარგი შთაბეჭდილება
მომწონს უნივერსიტეტის გარემო
ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის
დადებითი და ვფიქრობ ასე დადებითად გაგრძელდება
კაია ასწორებს
ძალიან მომეწონა, ველი მეტ სპორტულ აქტივობას
მეორე კურსზე ვარ და მე ვქმნი კარგ გარემოს
კარგიიყო
გაურკვეველი შტაბეწდილება მქონდა და კარგი მოლოდინი მაქ,იმედია ეგრევეც იქნება.
შთაბეჭდილებები კარგია ხოლო მეტის მოლოდინი მქონდა
ძალიან კარგი შთაბეჭდილება მაქვს ენერგიულად დაიწყო და იმედია მომავალშიც ასე გაგრძელდება მეგობრული გარემო და მოლოდინი გამიმართლდა
საოცარი დახვედრა იყო ნამდვილად და მიხარია რომ აქ ჩავაბარე.იმედი მაქვს აქ მიღებულისწავლით წარმატებული ვიქნები მომავალში ჩემ პროფესიაში.
ძალიან კარგად ჩაიარა პირველი კვირა ყველაფერი დაწვრილებით აგვიხსნეს
გავიცანი ლექტორები და დავუახლოვდი კურსელებს
შთაბეჭდილაბა არის ჩვეულებრივი .მოლოდინი ხარისხიანი განათლების მიღება
კარგი შთაბეჭდილება მაქვს,მოლოდინი კი უმაღლესი მოლოდინები მეტი მაქვს პირველ კვირისგან განსხვავები კარგი შთაბეჭდილება მოლოდინი იგივე
ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე
ძალიან კარგი ლექტორები და თბილი გარემოა
წინა კვირის შთაბეჭდილებები ბრწყინვალე იყო. ახალი მეგობრები, ახალი გარემო,პროფესორები, გამოცდილი და გამოცდილი სპეციალისტები, ერთი სიტყვით, ძალიანკარგია.
ყველაფერი ძალიან საინტერესოდ ჩაიარა, მიყვარს ჩვენი უნივერსიტეტი❤□
როგორც მოველოდი ზუსტად ისეთივე, თბილი და კარგი გარემო დამხვდა.
პირველი შეხედულებიდან ძალიან მომეწონა, რასაც ველოდები ის დამხვდა
ახალი გარემო,ახალი მეგობრები
ვცდილობ ყველაფერს შევეჩვიო.
ძალიან გახარებული ვიყავი…)

ძალიან კმაყოფილი ვარ, რასაც მოველოდი ის დამხვდა
მშვენივრად ჩაიარა პირველმა კვირამ, მაქვს კარგი მოლოდინები
დადებითი შთაბეჭდილება დატოვა. და ასევე კარგი მოლოდინები მაქვს
სამწუხაროდ არ მივლია პირველ კვირას
ბევრი საინტერესო და სახალისო ინფორმაცია მივიღე.
კარგი შთაბეჭდილება დამრჩა ,მოლოდინს გადააჭარბა
ძალიან კარგი იყო
პირველი კვირა არ მომეწონა, მოლოდინი კი მაქვს რომ მერე უფრო არ მომეწონება.
ძალიან საინტერესო იყო, რადგან უცხო გარემო და საინტერესო სიახლეები იყო
ცხოვრებისახალ ეტაპზე
მაქვს ძალიან კარგი შთაბეჭდილებები.იმედია რომ საინტერესო და ნაყოფიერი იქნება
ჩემისწავლის პერიოდი.
დასაწყისისთვის მომეწონა
ძალიან კარგი შთაბეჭდილება მქონდა. გავეცანი მთელ უნივერსიტეტს. ძალიან
კარგადგავატარე პირველი კვირა. გავეცანი საუნივერსიტეტო ცხოვრებას. და ძალიან
კმაყოფილივარ, რომ ავირჩიე სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი.
ჩემი მოლოდინები უნივერსიტეტთან დაკავშირებით გამართლდა
გავხდე კარგი სპეციალისტი
პირადი გამოცდილებით, პირველი კვირა საკმაოდ დამაბნეველი იყო. როგორც
პირველკურსელი, ალბათ ეს ბუნებრივია. ასევე, მეტად ნათელი პერსპექტივით, იყო
საკმაოდპოზიტიურიც იმ ლექტორების წყალობით, რომელთაც ჰქონდათ იპირადი
საზღვრებისდაცვის, რაც ვთვლი, რომ ყოველთვის ორმხრივი უნდა იყოს, ინფორმაციის
ნათლადგადმოცემისა და გამგებიანად მოპყრობის უნარი.
კვირა დაიწყო საინტერესოდ,ჩატარებულმა ლექციებმა შედეგი მთელი სისწრაფით
გამოიღო,აქტიურ რეჟიმში გრძელდება განათლების მიღება ლექტორებთან ერთად,არის
დადებითი გარემო.პირადი მოლოდინებით,მჯერა რომ მივიღებ როგორც ზოგად, აგრეთვე
კონკრეტულ განათლებას,რაშიც ბუნებრივია მოვიაზრებ ჩემს ფაკულტეტს.
ღირდა არჩევად გარკვეული გაურკვევლობების მიუხედავად, უნივერსიტეტის პირველი
კვირა კარგი იყო,მოველი უკეთესს. შთაბეჭდილებამ მოლოდინს გადააჭარბა
ყველაფერი კარგი იყო და კარგს ველოდები სახალისო და ქქტიობით სავსე კირაა მოლოდინი
მაქვს ასევე გაგძელდებაა. ძალიან საინტერესო იყო
შთაბეჭდილება მართლაც დიდი იყო ძალიან კარგი და თბილი დსხვედრა იყო დადებითი
ჩემთვის ყველაფერი იყო ახალი და საინტერესო. მომეწონა ყველაფერი, რომ გაგვაცნეს
პირველივე კვირაში.
კარგი პირველი შთაბეჭდილება მქონდა, ლექტორებმა და აკადემიურმა პერსონალმა
ძალიანთბილი დამოკიდებულება გამოიჩინეს და ხალისით უპასუხეს სტუდენტების
შეკითხვებს. პირველი კვირა საკმაოდ ინფორმაციული კვირა იყო, რომლის განმავლობაშიც
სრულადგავეცანით პროგრამებს. შეიძლება ითქვას, რომ ჩემი მოლოდინი გამართლდა.
ყველაფერი კარგად იყო ორგანიზებული როგორც წარმოვიდგენდი

ყველაფერი კარგი იყო, ლექციები, ლექტორები, ატმოსფერა ძალიან კარგია

დასკვნები

1. მიმდინარე, 2023-2024 სასწავლო წლის პირველკურსელთა წინამდებარე ინსტიტუციური კმაყოფილების კვლევაში გასულ წლებთან (შარშან 106 სტუდენტი შედარებით მეტმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა (წელს 116 სტუდენტი მონაწილეობა); კველევაში ჩართული სტუდენტების კმაყოფილების მაჩვენებლები პროცენტულად საკმაოდ გაზრდილია, თუმცა რჩება გარკვეული საკითხები, რომლებიც საჭიროებს ყურადღებას.
კერძოდ,
2. მნიშვნელოვანი საკვსნძო საკითხები არ გამოკვეთილა, თუმცა ფაკულტეტების წარმომადგენლები განიხილავენ დაწვრილებით და უკუკავშირს მოაწვდიან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

გასატარებელი ღონისძიება:

1. პირველკურსელთა ინსტიტუციური კმაყოფილების კვლევის შედეგები ეცნობოს თითოეული სტრუქტურული საგანმანათლებლო ერთეულის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს სტუდენტთა ინფორმატიულობის გაზრდის მიზნით;
2. სტუდენტებს ავუხსნათ, რამდენად მნიშვნელოვანია ინსტიტუციის გაძლიერებისთვის სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა, მათი კმაყოფილება და კმაყოფილების კვლევაში მონაწილეობა.
3. წინამდებარე საკითხებთან დაკავშირებით, რეაგირებისათვის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ინფორმაციას მიაწვდის უნივერსიტეტის რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.
4. ტრადიციულად, გარკვეულ საკითხებზე ჩაღრმავებული ინტერვიუები სტუდენტებთან შედგება რექტორის საათზე.
5. თითოეულ საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებმა სტუდენტებს გააცნონ კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგები და შესაბამისად, უკუკავშირისთვის გატარებული ღონისძიებების შედეგები.